

#	სააგენტოს მოთხოვნა სკოპინგის დასკვნა N 53-ის თანახმად	კონსულტანტის პასუხი
1	გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;	შენიშვნა გათვალისწინებულია
2.1	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;	შენიშვნა გათვალისწინებულია
3	გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები.	შენიშვნა გათვალისწინებულია
4	გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:	
a	პროექტის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);	ტომი 1 გვერდი 10
b	პროექტის აღწერა, მათ შორის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების/ღონისძიებების დეტალური აღწერა;	ტომი 2 გვერდი .9; გვერდი26; გვერდი 113
c	საპროექტო ტერიტორიის, მათ შორის მზის ელექტროსადგურის, ქვესადგურის და ეგზ-ის განთავსების ადგილების დეტალური აღწერა-დახასიათება. საქმიანობის განხორციელების ადგილების საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;	ტომი 2 გვ. 15-19; 30;113; მზის ელექტროსადგური და ქვესადგური განთავსებულია ერთ ნაკვეთზე, ხოლო გადამცემი ხაზის საკუთრების საკითხი დასაზუსტებელია დამკვეთთან. მზის ელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიის კოორდინატები: 487384.01

		<p>4596146.98; 487819.06 4596142.96; 488118.11 4596331.01; 488286.96 4596335.25; 488551.95 4596577.97; 488558.34 4597158.99; 487692.40 4597160.33; 487408.37 4596800.00; 487317.43 4596640.10; საპროექტო ქვესადგურის კოორდინატები: 487390.39 4596231.71; 487390.39 4596156.71; 487445.39 4596156.71; 487445.39 4596231.71</p>
d	საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობითა და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი;	(იხ, დანართად - 1 - შენიშვნებზე პასუხის დანართი)
e	საპროექტო ინფრასტრუქტურის (მზის პანელების, ქვესადგურის და ეგზ-ის) დაშორება მოსახლეობიდან, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;	(იხ, დანართად - 1 - შენიშვნებზე პასუხის დანართი)
f	აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shp ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით;	(იხ, დანართად - 1 - შენიშვნებზე პასუხის დანართი)
g	გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;	ტომი 1, გვერდი 42

h	<p>მზის ელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინფორმაცია მზის პანელების რაოდენობის, ტიპის, მიწის ზედაპირიდან განთავსების სიმაღლის და ა.შ შესახებ; - ინფორმაცია ქსელის ინვერტორების და მონიტორინგის სისტემის, ცვლადი და მუდმივი დენის საკაბელო ხაზების (ძაბვისა და განთავსების პირობების მითითებით), დამიწების სისტემის და მეხამრიდის შესახებ; - მზის პანელებისთვის განთავსებისთვის გათვალისწინებული ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილ და შესაბამისი Shp ფაილებით), მისი ფართობის და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ; - საპროექტო მზის ელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი ყველა შემადგენელი ნაგებობის აღწერით; 	<p>ტომი 2 გვ. 9;10;11;13;14;15;22;23;25;26;27;28;29;153;154</p>
i	<p>მზის ელექტროსადგურის ფუნქციონირების/ელექტროენერგიის გამომუშავების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, სადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაციის მითითებით;</p>	<p>ტომი 2 გვ. 9;10;11;13;14;26;27;28;153-155</p>
j	<p>დეტალური ინფორმაცია გამომუშავებული ენერგიის შეკრებისა და გენერირების შესახებ, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - დეტალური ინფორმაცია საპროექტო ქვესადგურის შესახებ - ქვესადგურის ტიპის, ძაბვის, მოწყობის გეგმის, შემადგენელი კომპონენტების, ოპერირების და ა.შ მითითებით; - საპროექტო ქვესადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი; - საპროექტო ქვესადგურის გენერალური გეგმა და სქემატური ნახაზები, შესაბამისი ექსპლიკაციით; - ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთშემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია, ზეთშემკრები სისტემის ეფექტურობის დასაბუთებით. ამასთან დაზუსტებული ინფორმაცია ინვერტორისა და 	<p>ტომი 2 გვ. 30;31;32;33;34;37;41;42;43;46;69;108;109;110; 153-155 ქვესადგურის გენგეგმა; გეგმა და ჭრილი (იხ, დანართად - 1 - შენიშვნებზე პასუხის დანართი)</p> <p>გვ. 108-112 ქვესადგურის ტერიტორიაზე შემაკავებელ ავზში დაგროვილი ზეთი სპეციალური ავტოცისტერნით გადატანილი უნდა იქნეს სპეციალურ საწარმოში შემდგომი უტილიზაციისთვის. გვ. 26;27;28</p>

	<p>ქვესადგურის ზეთების შემაკავებელი ავზის (შესაბამისი კოლექტორის სისტემით) შესახებ. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია შემაკავებელ ავზში დაგროვილი ზეთის შემდგომი მართვის საკითხების შესახებ;</p> <p>- გამომუშავებული ენერგიის საპროექტო ქვესადგურისთვის მიწოდების (გადამცემი ხაზების) შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;</p>	
	<p>დეტალური ინფორმაცია გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის:</p> <p>- ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის სიგრძის შესახებ;</p> <p>- ინფორმაცია საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობისა და ტიპის შესახებ;</p> <p>- ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანიტ), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;</p> <p>- წარმოდგენილი იქნეს ეგზ-ის საპროექტო მონაკვეთის/დერეფნის და საყრდენების ტერიტორიების, ასევე აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული გარემო პირობებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია;</p> <p>- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ;</p> <p>- საპროექტო ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის დეტალური აღწერა. ამასთან, ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;</p> <p>- საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი;</p> <p>- ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ინფრასტრუქტურული ობიექტების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაცია საპროექტო ბუფერში არსებული ხეების გადაკვეთის შესახებ.</p> <p><u>ინ ფრ ასტ რუქტ ურუ ლი და ბუნ ე ბრივი ობიე ქტ ების გადაკვეთ ის ტ ექნ იკური გადაწყვეტების შეს ახე ბ დაზუსტ ე ბული ინ ფორმ აცია;</u></p> <p>- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ;</p>	<p>ტომი 1, გვერდი 74</p> <p>ტომი 2</p> <p>გვ. 113-124; გვერდი 155; გვ.42-68</p> <p>გადამცემი ხაზის დაცვის ზონა გეგმაზე (იხ, დანართად - 1 - შენიშვნებზე პასუხის დანართი)</p>

	ინფორმაცია ელექტროსადგურის საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ეგხ-ის გაყვანის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);	პროექტი არ ითვალისწინებს ეკონომიკურ ან ფიზიკურ განსახლებას
	ინფორმაცია პროექტის არეალში არსებული მისასვლელი გზების შესახებ;	ტომი 2, გვერდი 161
	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 131, გვერდი 141
	საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	ტომი 1, გვერდი 120
	ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;	ტომი 1, გვერდი 155
	მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;	ტომი 1, გვერდი 127, გვერდი 143 (ასევე იხილეთ დანართად - 5 -ნარჩენების მართვა)
	მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ობიექტის წყალმომარაგების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;	ტომი 2 გვ. 135;136
	მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;	ტომი 2 გვ. 136;137; 158; 159; 165
	პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;	ტომი 2, გვ. 131 დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის განსაზღვრა მოხდება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.
	პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია.	ტომი 1, გვერდი 155 იხილეთ დანართად - 4 - საჯარო განხილვის ოქმი
4.1	პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების/მშენებლობის ორგანიზების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:	

	სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა- გრაფიკი;	ტომი 2 გვ. 129;130;131;132
	ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;	ტომი 2 გვ. 132
	დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);	პროექტის ფარგლებში ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილი არ არის, ინფორმაცია ნიადაგის ხარისხის დაცვის შესახებ იხილეთ ტომი 1 გვერდი 128
	ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);	პროექტის ფარგლებში ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილი არ არის, ინფორმაცია ნიადაგის ხარისხის დაცვის შესახებ იხილეთ ტომი 1 გვერდი 128
	დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მათი მართვის საკითხების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილ(ებ)ის (სანაყაროები) შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების მითითებით (shp ფაილებთან ერთად);	ფუჭი ქანები მშენებლობის დროს არ წარმოიქმნება
	მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და საპროექტო ტერიტორიაზე მიწოდების შესახებ;	ტომი 2 გვ. 133
	ახალი მისასვლელი გზ(ებ)ის მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, საპროექტო გზ(ებ)ის შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით. საპროექტო გზ(ებ)ის შესაბამისი სქემატური ნახაზები, shp ფაილებთან ერთად. ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზ(ებ)ის მოწყობასთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები.	ტომი 2, გვერდი 161

	ასევე ინფორმაცია ახალი გზ(ებ)ის მოწყობის ეტაპზე დამატებითი ასათვისებელი ტერიტორიის შესახებ;	
	დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო გზაზე მოსაწყობი სანიაღვრე გრუნტის კიულვერტებისა და წყალგამტარი მილების შესახებ (წყალგამტარი მილებით ხევეების გადაკვეთის ადგილების მითითებით).	ტომი 2, გვერდი 165, გვერდი 169
4.2	სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:	
	სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის აღწერა. სამშენებლო ბანაკის დაზუსტებული ლოკაცია, GPS კოორდინატების მითითებით (shp ფაილებთან ერთად);	ტომი 2 გვ. 137;
	ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ფართობის შესახებ;	ტომი 2 გვ. 138
	ინფორმაცია მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ, განსათავსებელი ობიექტების აღწერა-დახასიათებით. მათ შორის: სამშენებლო ბანაკზე (არსებობის შემთხვევაში) განსათავსებელი საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია; სამშენებლო ბანაკზე განსათავსებელი დიზელ-გენერატორის შესახებ ინფორმაცია.	ტომი 2 გვ. 138;140;141 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული დიზელ-გენერატორი სიმძლავრეა 630 კვა
	სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;	ტომი 2 გვ. 139;140;141
	სამშენებლო ბანაკის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია.	ტომი 2 გვ. 18;136;137;140;141
4.3	გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:	
	გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერას, მათ შორის: - რელიეფი (გეომორფოლოგია); - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა; - სეისმური პირობები; - ჰიდროგეოლოგიური პირობები;	იხილეთ დანართი 1 - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში

	<p>- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც);</p> <p>- ამასთან, ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია.</p>	
	<p>გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის:</p> <p>- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;</p> <p>- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.</p>	იხილეთ დანართი 1 - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში
4.4	გზშ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
	<p>ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;</p>	ტომი 1 გვერდი 74, გვერდი 110, გვერდი 122, გვერდი 148
	<p>ასევე საჭიროა ბიომრავალფეროვნების კვლევებზე დაყრდნობით განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;</p>	ტომი 1 გვერდი 122, გვერდი 148
	ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;	ტომი 1, გვერდი 110
	გზშ-ის ანგარიშში აისახოს დამატებითი კვლევები და ინფორმაცია, ფრინველებთან მიმართებით კუმულაციური ზემოქმედების ფაქტორის განსაზღვრისათვის.	ტომი 1, გვერდი 129

5	საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:	
	ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;	ტომი 1, გვერდი 100, გვერდი 126, გვერდი 149
	პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 103, გვერდი 125, გვერდი 148
	ინფორმაცია/დასაბუთება და შესაბამისი შეფასება მზის ელექტროსადგურის მიერ ელექტრო გამოსხივებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შესახებ;	ტომი 1, გვერდი 104
	ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 105
	მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, ამასთან ინფორმაცია ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 107
	გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 109
	მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	ტომი 1, გვერდი 110, გვერდი 125, გვერდი 148

	პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 110, გვერდი 122, გვერდი 129, გვერდი 148
	ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	ტომი 1, გვერდი 108, გვერდი 129
	მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ნარჩენების მართვის საკითხები და ნარჩენების მართვის გეგმა;	ტომი 1, გვერდი 121, გვერდი 127, გვერდი 143 (ასევე იხილეთ დანართად 5 -ნარჩენების მართვა)
	შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ- კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი/ები, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);	ტომი 1, გვერდი 119 დანართი 2 არქეოლოგიური კვლევის ანგარიში
	მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;	საპროექტო არეალში არსებული მიწები წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების შემთხვევაში, კომპანია ფლობს შესაბამის დოკუმენტალურ ნებართვას. არსებული მიწების გამოყენება არ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ტომი 1, გვერდი 117, გვერდი 127, გვერდი 133, გვერდი 148 (ასევე იხილეთ დანართად 4 - საჯარო განხილვის ოქმი)
	საპროექტო ტერიტორიებზე არსებულ სამოვრეზო მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ზემოქმედების შედეგების შეფასება. ამასთან, წარმოდგენილი იქნეს სათანადო/ქმედითი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები, მათ შორის მოცემული იყოს სამოვარი	უშუალოდ საპროექტო ტერიტორია საკმაოდ დეგრადირებულია და მოქცეულია მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედების ზონაში, ასევე წარმოადგენს კერძო საკუთრებას, მისი სამოვრებად გამოყენება არ ხდებოდა.

	ტერიტორიის შეზღუდვის შესახებ სოფლის მოსახლეობის ინფორმირების და მათი პოზიციების ამსახველი ინფორმაცია;	აღნიშნულის შესახებ საჯარო განხილვის დროს იქნა მოსახლეობა ინფორმირებული, რაზეც მათი მხრიდან წინააღმდეგობა, ან განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება არ მომხდარა. ასევე არ დაფიქსირებულა მოსაზრება, რომ აღნიშნული მიწების გამოყენება ხდება სამოვრებად, და დაგეგმილი საქმიანობა რაიმე ფორმით შეზღუდავს ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობას მეცხვარეობის დარგში.
	პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების, დეტალური შეფასება და განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები;	ტომი 1, გვერდი 127, გვერდი 148
	საპროექტო ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, ანალოგიური ტიპის არსებული ან/და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 129
	გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;	გზშ-ს ანგარიშის მომზადების დროს ჩატარებული დეტალური კვლევების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს გარემოზე შეუქცევად ზემოქმედებას, შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში არ განიხილება
	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია	ტომი 1, გვერდი 127, გვერდი 131, გვერდი 142

	ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;	
	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;	ტომი 1, გვერდი 131, გვერდი 142
	საპროექტო ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული, შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;	ტომი 1, გვერდი 129
	მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით)	ტომი 1, გვერდი 148
	გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები	ტომი 1, გვერდი 156
6	საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:	
	<p>სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამეურნეო-ფეკალური წყლები გაიწმინდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით განსაზღვრულ საქმიანობას, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია: საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილების, მოწყობის გეგმის, გამწმენდების ტიპის, პარამეტრების, წარმადობის, ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ; ასევე ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; დაბინძურებული ჩამდინარე წყლის სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები), შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით; გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;</p>	<p>გზშ-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა არ იგეგმება. ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ იხილეთ ტომი 2, გვერდი 136.</p> <p>როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წარმოშობა არ მოხდება.</p>

	ამასთან, პროექტის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზ.დ.ჩ) პროექტი;	ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვება არ ხდება, შესაბამისად ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზ.დ.ჩ) პროექტის შემუშავება არ განხორციელებულა.
	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწვავის სამარაგო რეზერვუარები შემოიზღუდება ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერებით. დაზუსტებას საჭიროებს საწვავის რეზერვუარების შესახებ ინფორმაცია, რეზერვუარების ტიპის, მოცულობისა და განთავსების ადგილის-პირობების შესახებ ინფორმაციის მითითებით;	იხილეთ ტომი 2, გვერდი 138
	სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად მზის ელექტროსადგურის შემადგენლობაში შედის ცვლადი დენის 35 კვ საკაბელო ხაზები, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. 35 კილოვოლტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ასევე წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით (3.4 ქვეპუნქტით) განსაზღვრულ საქმიანობას, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ეგხ-ის გაყვანის შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის სიგრძის, ეგხ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები და ფიზიკური მახასიათებლების და ა.შ შესახებ (shp ფაილებთან ერთად);	ტომი 1 გვ. 15-18 ტომი 2 გვ. 48;49;50;51,52
	სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის და ქვესადგურის ადგილმდებარეობის ალტერნატივების შედარებითი ანალიზის შესახებ, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით, შერჩეული ალტერნატივის გარემოსდაცვითი დასაბუთებით.	ტომი 1, გვერდი 42

	მნიშვნელოვანია განხილული იქნეს ასევე უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას;	
	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საკვლევ არეალში ფიქსირდება დაახლოებით 40 სახეობის ფრინველი, მათ შორის საქართველოს და საერთაშორისო წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობა - ფასკუნჯი (Neophron percnopterus). აღნიშნული გარემოების მიუხედავად სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია ორნითოფაუნაზე, მათ შორის ფასკუნჯზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;	ტომი 1, გვერდი 81, გვერდი 90, გვერდი 115
	ამასთან, საკვლევ არეალში არსებული და საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების არსებობის შედეგად ფაუნაზე, განსაკუთრებით ფრინველთა სახეობებზე, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დამატებით შესწავლას/შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას;	ტომი 1, გვერდი 122, გვერდი 129
	დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, საპროექტო ობიექტის სპეციფიკისა და მიმდებარედ არსებული მაღალი ძაბვის ობიექტების გათვალისწინებით, ეგზ-ების ექსპლუატაციის ეტაპი დაკავშირებული იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ ჯამურ ზემოქმედებასთან, რომლის მნიშვნელობის შეფასების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;	ტომი 1, გვერდი 103, გვერდი 126, გვერდი 148
	დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო არეალში არსებული ხევების მათ შორის მდ. აგბურუნის შესახებ, ჰიდროლოგიური მახასიათებლების მითითებით;	ტომი 1, გვერდი 61, გვერდი 110, გვერდი 125, გვერდი 148
	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ეგზ-ის დერეფანი კვეთს კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიებს, რასთან დაკავშირებითაც გზშ-ის	(იხილეთ დანართად - 3 - საქრუსენერგოს წერილი; შეთანხმება შპს ლომთაგორასთან, მუხლი 4. სერვიტუტის ვალდებულება)

	ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია, ასევე კერძო მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	
	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ დაუკავშირდება არსებულ 220 კვ-იან მარნეულის ქვესადგურს, სადაც დამატებით მოეწყობა 110 კვ უჯრედი და რასაც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განახორციელებს. ამასთან დგინდება, რომ საპროექტო ეგზ კვეთს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ბალანსზე არსებულ ეგზ-ებს. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული საკითხების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;	კომპანიის მიერ სრული ტექნიკური დოკუმენტაცია შეტანილია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში შესათანხმებლად. (იხილეთ დანართად - 2 - წერილი სსე-ს).
	სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ ასახული და მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ქვესადგურის შესახებ - ქვესადგურის ტიპის, შემადგენელი კომპონენტების და ა.შ მითითებით. ამასთან მნიშვნელოვანია განხილული იქნეს სატრანსფორმატორო ზეთის ავარიული დაღვრის მართვის საკითხები;	ტომი 2, გვერდი 30
	ვინაიდან, ქვესადგურის და მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა წარმოადგენს ერთიან პროექტს, გზშ-ის ანგარიშში, სასურველია, კვლევები წარმოდგენილი იყოს ერთიანი საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის სახით;	იხილეთ დანართი 1 - საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში
	ზემოქმედებისთვის გამოყოფილია 2 თავი სადაც პირველში, კუმულაციური ზემოქმედების რისკი არ განიხილება, ხოლო მეორეში იგი განიხილება გადამცემი ხაზების მოწყობის ჭრილში. მოცემული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;	გათვალისწინებულია, იხილეთ ტომი 1, გვერდი 129
	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“	ტომი 1, გვერდი 121

	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;	
	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა	გათვალისწინებულია